საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 556/ს
30/12/2022

556-21-4-202212301457

**შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ელიზიზე“ გადაცემის შესახებ**

2022 წლის 17 ნოემბერს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „სკინჩისა“ და შპს „ელიზის“ დირექტორებმა. შპს „სკინჩიმ“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ელიზიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება) გაიცა №84 (15/11/2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის თანახმად, 2022 წლის 8 დეკემბერს გაიცა გარემოს ეროვნული სააგენტოს №507/ს ბრძანება „შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 დეკემბრის №507/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ელიზის“;

2. შპს „ელიზიმ“ უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 დეკემბრის №507/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სკინჩს“ და შპს „ელიზის“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სკინჩისა“ და შპს „ელიზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო